



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

არქეოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის დეპარტამენტი

სამაგისტრო პროგრამა:
ხელოვნებათმცოდნეობა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება:
ჰუმანიტარული

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ხელოვნებათმცოდნეობაში

პროგრამის მოცულობა:
120 ECTS კრედიტი (4 სემესტრი)

პროგრამის ხელმძღვანელები: ასოც. პროფესორი ირინა სარუხანოვა,
ასოც. პროფ. მაია ჭოლაძე

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: 4 55 52, 8 99938325;
E-mail: maja_choladze@yahoo.de

ქუთაისი
2008

- **პროგრამის არსი**

ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა გულისხმობს ლიტერატურასა და ხელოვნებათმცოდნეობაში შექმნილი ზოგადი განათლების გაღრმავებასა და შიდა დარგობრივი ისტორიულ-თეორიული დისციპლინების ერთიანობას. სამაგისტრო პროგრამის კომპლექსურ ხასიათს უზრუნველყოფს ცალკეული საგნების კოორდინაცია და მთელი პროგრამისათვის საერთო სავალდებულო და არჩევითი კურსების მიზანმიმართული შერჩევა.

- **პროგრამის მიზნები და ამოცანები**

სამაგისტრო პროგრამა შედგება ორი მოდულისაგან : ხელოვნების თეორია და მუსიკალური ხელოვნება. პროგრამის მიზანია მოამზადოს ხელოვნების სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ ღრმა თეორიული და ანალიტიკური ცოდნა ხელოვნების სხვადასხვა დარგის მიმდინარეობის, ჟანრისა და სტილის განვითარების შესახებ, რაც მათ საშუალებას მისცემს, გააანალიზონ მხატვრული ნაწარმოები (ფერწერა, არქიტექტურა, კინო, თეატრი, მუსიკა) ფორმის, შინაარსისა და შესაბამისი ეპოქის ტენდენციების გათვალისწინებით. ხელოვნებათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი უნარების გამომუშავებას შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის ;

- **შედეგი**

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება დარგობრივი კვალიფიკაცია: აკადემიური ხარისხი –**ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი**. სამაგისტრო პროგრამა მაგისტრანტს გამოუმუშავებს სამეცნიერო-კვლევითი და კრიტიკულ-ანალიტიკური მუშაობის უნარს; მოამზადებს სპეციალისტს შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის, ჩამოუყალიბებს ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრს მხატვრული ნაწარმოებების ანალიზისას საკუთარი დასკვნების საჯაროდ წარდგენის და მკაფიოდ დასაბუთების უნარს, შესაბამის თეორიულ ცოდნასა და ჩვევებზე დაყრდნობით.

- **დასაქმება**

კურსდამთავრებული შეძლებს პედაგოგიურ მოღვაწეობას შესაბამისი პროფილით ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ სკოლებში, კოლეჯებში, უმაღლეს სასწავლებლებში, რედაქციებში, გამომცემლობებში, მუზეუმებში; სამეცნიერო მოღვაწეობის გაგრძელებას დოქტურანტურაში; ანალიტიკურ – პრაქტიკულ საქმიანობას კულტურის სამთავრობო დაწესებულებებსა და არასამთავრობო სექტორში

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი	კრედიტების საერთო რაოდენობა	კრედიტების განაწილება			
				სემესტრები			
				I	II	III	IV
1	ხელოვნების ფილოსოფია	სავალდებულო	5	5			
2	ხელოვნების ფსიქოლოგია	სავალდებულო	5		5		
3	ევროპული ლიტერატურისა და ხელოვნების ცალკეული ასპექტები	სავალდებულო	15	5	5	5	
4	რეცენზირება	სავალდებულო	5	5			
	მოდული: ხელოვნების თეორია	სავალდებულო					
5	სახვითი ხელოვნების თეორია	სავალდებულო	10	5	5		
6	XX ს.-ის მუსიკის განვითარების ტენდენციები	სავალდებულო	5			5	
7	კინოს თეორიის საფუძვლები	სავალდებულო	5			5	
8	დრამის თეორია და პოეტიკა	სავალდებულო	5		5		
9	ფილმის ანალიზი და თანამედროვე კინემატოგრაფის უახლესი ტენდენციები	სავალდებულო	5	5			
10	კულტურის ისტორია	სავალდებულო	5			5	
	მოდული: მუსიკალური ხელოვნება	სავალდებულო					
11	სცენური ჟანრების განვითარების ტენდენციები	სავალდებულო	5			5	
12	ინსტრუმენტალური და სიმფონიური ფორმის ევოლუცია	სავალდებულო	10	5	5		
13	მუსიკალური ესთეტიკის პრინციპთა ტრანსფორმირება XIX-XX საუკუნის ლიტერატურაში	სავალდებულო	5			5	
14	საშემსრულებლო ხელოვნების ოსტატობა	სავალდებულო	15	5	5	5	
	არჩევითი						
15	კულტურის ისტორია						
16	ხელოვნების სემიოტიკა						
17	ხელოვნების სოციოლოგია	არჩევითი					
18	XX საუკუნის ხელოვნების სტილთა თეორია	არჩევითი					
19	თეატრალური სცენოგრაფია	არჩევითი	5			5	
21	კომპიუტერული ტექნოლოგიები და ინტერნეტი	არჩევითი					
22	განათლების ისტორია	არჩევითი	5	5			
23	განათლების ფსიქოლოგია	არჩევითი	5	5			
24	განათლების სისტემები	არჩევითი	5		5		
25	პედაგოგიკის კვლევის მეთოდოლოგია	არჩევითი	5		5		
26	საკურსო ნაშრომი		5		5		
27	სამაგისტრო ნაშრომი		30				30
28	პედ.პრაქტიკა უმაღლეს სკოლაში		5			5	
	სულ		130				

სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.